„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

თემატური სემინარი მდგრად დაფინანსებაზე

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგი გარემოს დაცვასა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებისათვის საკვანძო პრიორიტეტად განსაზღვრავს თანამედროვე, რესურსდამზოგი, სუფთა და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობას, რაც განაპირობებს ეკონომიკის გამწვანებას და ბუნებრივი რესურსების უფრო მდგრად გამოყენებას, ევროპული „მწვანე შეთანხმების“ შესაბამისად. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს ინვესტორთა მზარდი რაოდენობა მდგრადი დაფინანსების პრინციპებს ითვალისწინებს, რის გამოც ამ მიდგომის მნიშვნელოვნება დღითიდღე იზრდება როგორც სასესხო, ასევე სააქციო კაპიტალის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მდგრადი დაფინანსება გულისხმობს ფინანსური სექტორის მიერ ინვესტიციების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) საკითხების გათვალისწინებას, რის შედეგადაც მდგრად ეკონომიკურ საქმიანობაში და პროექტებში მეტი გრძელვადიანი ინვესტიცია ხორციელდება. გარემოსდაცვითი საკითხები შეიძლება მოიცავდეს კლიმატის ცვლილების შერბილებას და მასთან ადაპტაციას, ასევე გარემოს დაცვათან დაკავშირებული საკითხების უფრო ფართო სპექტრს, როგორიცაა, მაგ., ბიომრავალფეროვნების დაცვა, დაბინძურების თავიდან აცილება და ცირკულარული ეკონომიკა. სოციალური საკითხები შეიძლება ეხებოდეს უთანასწორობის პრობლემატიკას, ჩართულობას, შრომით ურთიერთობებს, მოსახლეობაში, სათემო დასახლებებსა და მათ კვალიფიკაციაში ინვესტირებას, ადამიანის უფლებებს. საჯარო და კერძო ინსტიტუტების მმართველობა, მათ შორის მართვის სტრუქტურები, შრომითი ურთიერთობები და აღმასრულებელი რგოლის ანაზღაურება, გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მხედველობაში მიღებისათვის არსებითია.

გაეროს განვითარების პროგრამის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF), რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს, ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობას ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული გზამკვლევის შემუშავებაში ეხმარება. ქვეპროექტს ახორციელებს სბმკ „ორქისი“. მას უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი, რომელთაც ეხმარება საქართველოს ეკონომიკის, მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ადგილობრივი ექსპერტების გუნდი.

საკვანძო დაინტერესებულ მხარეებში საერთო აზრის ჩამოყალიბების, მათი გაძლიერების, გზამკვლევის შემუშავებასა და განხორციელებაში მათი ინფორმირებული და მიზანმიმართული მონაწილეობისათვის, ქვეპროექტი ითვალისწინებს მათი შესაძლებლობის განვითარებას ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში. კერძოდ, სამიზნე სფეროებში საბაზისო ცოდნის გადასაცემად, დაგეგმილია ხუთი თემატური სემინარი, რომლებიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ცირკულარული ეკონომიკა: (i) ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა; (ii) სამრეწველო ხანის მემკვიდრეობა; (iii) არსებული ტენდენციები - პრობლემები და შესაძლებლობები; (iv) ევროკავშირის სამოქმედო გეგმები; (v) ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელები; (vi) ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობისათვის საკვანძო დაინტერესებული მხარეები; (vii) ბიზნესისა და

პოლიტიკის შემქმნელების როლი ცირკულარულ ეკონომიკაში; (viii) საკვანძო რეკომენდაციები ბიზნესის ხელმძღვანელებისა და პროექტების ინიციატორებისათვის; (ix) ცირკულარული გადაწყვეტილებების წარმატებული მაგალითები.

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) საკითხები: (i) ESG-ს ისტორია და ძირითადი პრინციპები; (ii) ESG კაპიტალდაბანდების პროცესში; (iii) საბჭოს როლი და ESG; (iv) ESG და ბიზნესსტრატეგია; (v) ESG და რისკი; (vi) კორპორაციული მმართველობა და ESG; (vii) ESG ანგარიშგება; (viii) მდგრადი გარდაქმნის გზა; (ix) ESG, როგორც ცირკულარული ეკონომიკის ინსტრუმენტი.
- მწვანე საჯარო შესყიდვა: (i) მწვანე საჯარო შესყიდვის სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო; (ii) ბაზრის ტევადობის გააზრება და ხარჯთსარგებლიანობის შეფასება; (iii) გარემოსდაცვითი სტანდარტების შემოღება შესყიდვების სფეროში; (iv) მწვანე საჯარო შესყიდვების მონიტორინგი; (v) მწვანე საჯარო შესყიდვების როლი ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობაში.
- მდგრადი დაფინანსება: (i) მდგრადი დაფინანსების პრინციპების მიმოხილვა; (ii) საყოველთაოდ აღიარებული ESG ინვესტირების სტრატეგიები, სტრატეგიების ერთობლიობა, ESG ფილტრები; (iii) ევროკავშირის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს მიმოხილვა; (iv) ფინანსური ინსტიტუტების ტიპური მოთხოვნები.

მეხუთე თემატური სემინარი ეძღვნება მდგრადი დაფინანსების პრაქტიკულ მხარეებს.